საიდ. N 78506/03

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა №189-03/11

საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნულ ცენტრთან - საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის კოლეგიამ, შემდეგი შემადგენლობით: ს. მუჯირი (თავმჯდომარე), ს. დუმბაძე, ს. ებრალიძე, გ. ფანცულაიას მდივნობით განიხილა სს „ქებული კლიმატი“-ს N189-03/11 სააპელაციო საჩივარი, რომლითაც მოითხოვება „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 30 სექტემბრის N1231/03 ბრძანების ბათილად ცნობა და სასაქონლო ნიშნის ,,ქებული QEBULI“ (საიდ. N78506/03) რეგისტრაცია.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა სააპელაციო საჩივარი, ექსპერტიზის მასალები და მოისმინა რა მხარის ახსნა-განმარტებები

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 30 სექტემბრის N1231/03 ბრძანებაზე თანდართული ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, სტილიზებული სასაქონლო ნიშანი „ქებული QEBULI" დაცვას არ ექვემდებარება, ვინაიდან იგი აღწერილობითია მე-11 კლასის საქონლისა და 37-ე კლასის მომსახურების ჩამონათვლისათვის. სიტყვა ,,ქებული'', ნაწარმოებია სიტყვისგან „ქება”, რომელსაც ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით აქვს შემდეგი მნიშვნელობა ,,ვისიმე ან რისიმე მოწონებით მოხსენება, ხოტბის შესხმა'' (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; ტომი VII; გვ. 278.). ნიშანი „ქებული'' არ წარმოადგენს ფანტაზიურ სიტყვას. რაც შეეხება მის სემანტიკურ მნიშვნელობას „ნაქები, სანაქებო, განთქმული“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; ტომი VII; გვ. 279.) მას აქვს აღწერილობითი დატვირტვა იმ საქონლისა და მომსახურების ჩამონათვლისთვის რომლისთვისაც მოთხოვნილია მისი რეგისტრაცია, ვინაიდან იგი გამოიყენება, როგორც მაღალი შეფასების შესატყვისი, რომელიც მიუთითებს ამ სასაქონლო ნიშნით მონიშნული მე-11 კლასის საქონლის ,,განათების, გათბობის, ორთქლწარმოქმნის, საკვები პროდუქტის თბური დამუშავების, გასაცივებელი, საშრობი, ვენტილაციის, წყალგამანაწილებელი და სანიტარულ-ტექნიკური მოწყობილობები'' და 37-ე კლასის მომსახურების ,,მშენებლობა; რემონტი; დანადგარების დაყენება'' მაღალ ხარისხზე და თვისებებზე. ნიშანი ,,ქებული'' მიუთითებს საქონლისა და მომსახურების ხარისხის, თვისებების და

სხვა მახასითებლების შესახებ და იძლევა საშუალებას არჩევანი გაკეთდეს მათი ხარისხის, თვისების, ღირებულების და სხვა მახასიათებლების შესაბამისად. რაც შეეხება სარეგისტრაციოდ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშნის ლათინური ანბანით შესრულებულ ელემენტს ,,QEBULI'', მას აქვს ამავე ნიშნის ქართული ელემენტის ,,ქებული'' მსგავსი ჟღერადობა და ქართველი მომხმარებლის მიერ გამოითქმის როგორც ,,ქებული''.

აღნიშნულის გამო, განცხადებულ სასაქონლო ნიშანს, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ'' საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ" ქვეპუნქტის საფუძველზე, უარი ეთქვა რეგისტრაციაზე საქონლისა და მომსახურების სრული განცხადებული ჩამონათვალის მიმართ.

აპელანტი არ ეთანხმება ექსპერტიზის გადაწყვეტილებას და მიაჩნია, რომ არ არსებობს განცხადებული სასაქონლო ნიშნის რეგისტრაციაზე, ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ" საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ,,დ" ქვეპუნქტით გათვალისწინებული, უარის თქმის საფუძველი.

აპელანტი მიუთითებს საქპატენტის პრაქტიკაზე და განმარტავს, რომ საქპატენტის მიერ რეგისტრირებულია იდენტური სასაქონლო ნიშანი, თუმცა რეგისტრირებული სასაქონლო ნიშნის და განხადებული სასაქონლო ნიშნის კლასები (ნიცის კლასისფიკაციის შესაბამისად) განსხვავებულია. აპელანტის პოზიციით, გაუგებარია ექსპერტის მსჯელობა, იმის თაობაზე, რომ წარმოდგენილი სასაქონლო ნიშანი აღწერილობითია და არ ექვემდებარება რეგისტრაციას, მაშინ როდესაც უკვე რეგისტრირებულია მსგავსი ტიპის სასაქონლო ნიშანი. აპელანტის განმარტებით, მათ მიერ გადამოწმებული იქნა საქპატენტის ვებ-გვერდზე არსებული ბაზა, შესწავლილ იქნა საქპატენტის პრაქტიკა მსგავსი ტიპის სასაქონლო ნიშნების რეგისტრაციასთნ მიმართებით, ყოველივე აღნიშნული ქმნიდა იმის უპირობო საფუძველს, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი დარეგისტრირდებოდა. აპელანტის აზრით, აღნიშნულის გათვალისწინებით ცხადია, რომ ექპერტიზის მსჯელობა და მოტივაცია

შეუსაბამოა საქპატენტის პრაქტიკასთან და აქედან გამომდინარე შეუსაბამოა საქართველოს კანონმდებლობასთან.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, აპელანტი ითხოვს, ,,სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - ,,საქპატენტის“ სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის 2014 წლის 30 სექტემბრის N1231/03 ბრძანების ბათილად ცნობას და სასაქონლო ნიშნის ,,ქებული QEBULI“ (საიდ. N78506/03) რეგისტრაციას.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ განიხილა მხარის არგუმენტაცია, საქმეში არსებული მასალები და მიიჩნია, რომ სააპელაციო საჩივარი (საიდ. №89-03/15) უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

„სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის თანახმად, სასაქონლო ნიშნად არ რეგისტრირდება სიმბოლო ან სიმბოლოთა ერთობლიობა, რომელიც „აღწერილობითია იმ საქონლის მიმართ, რომლისთვისაც მოითხოვება მისი რეგისტრაცია, შედგება საქონლის მხოლოდ სახეობის, ხარისხის, რაოდენობის, თვისების, ღირებულების, დანიშნულების, გეოგრაფიული წარმოშობის, გასაღების ადგილის, დროის ან საქონლის სხვა მახასიათებლებისაგან ანდა მიჩნეულია ასეთად“.

სააპელაციო პალატის კოლეგია იზიარებს აპელანტის პოზიციას და მიაჩნია, რომ განცხადებული სასაქონლო ნიშანი არ წარმოადგენს აღწერილობითი ნიშანს საქონლისა და მომსახურების მე-11 და 37-ე კლასების მიმართ. განცხადებული სასაქონლო ნიშანი ,,ქებული QEBULI“ (საიდ. N78506/03) წარმოადგენს ორი ელემენტისაგან შემდგარ და სტილიზირებულად შესრულებულ სიტყვიერ ჩანაწერს, რომლის სემანტიკური მნიშვნელობა „ნაქები, სანაქებო, განთქმული“ (ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი; ტომი VII; გვ. 279.) პირდაპირ და უშუალოდ არ აღწერს საქონლისა და მომსახურების ჩამონათვალს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატის კოლეგია მიიჩნევს, რომ არ არსებობს ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული სასაქონლო ნიშნის - ,,ქებული QEBULI“ (საიდ. N78506/03) რეგისტრაციაზე უარის თქმის საფუძველი.

სააპელაციო პალატის კოლეგიამ იხელმძღვანელა ,,სასაქონლო ნიშნების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლით, სსიპ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის – საქპატენტის თავმჯდომარის 2011 წლის 18 მარტის №02 ბრძანებით დამტკიცებული საქპატენტთან არსებული სააპელაციო პალატის დებულების მე-15 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა” ქვეპუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

1. სს „ქებული კლიმატი“-ს N189-03/11 სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ბათილად იქნას ცნობილი „სასაქონლო ნიშნის დაჩქარებული წესით რეგისტრაციაზე უარის თქმის შესახებ“ საქართველოს ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის - საქპატენტის სასაქონლო ნიშნებისა და გეოგრაფიული აღნიშვნების დეპარტამენტის უფროსის, 2014 წლის 30 სექტემბრის N1231/03 ბრძანება.
3. წინამდებარე გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. მცხეთა, სამხედროს ქ. №17) გადაწყვეტილების გაცნობის/ჩაბარების დღიდან ერთი თვის ვადაში.

კოლეგიის თავმჯდომარე: ს. მუჯირი

წევრები:	ს. ებრალიძე
	ს. დუმბაძე